ცნობის ფურცელი

№ 2186 პარასკევი, 20 ივნისი **1896—1903** ყოველ-დღიური გაზეთი № 2186

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—8 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ყოველი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., ბოლო გვერდზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურცლ." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе" ტელეფონი № 372

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. კალლიზენ
რყევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.
ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი № 679.** (0—91)

იმ მოგზაურთათვის, რომელნიც ამიერ-კავკასიის რკინის გზის **ბაკურიანის შტოთი** მიდიან, ამა წლის 20 ივნისიდან ბაკურიანის სადგურზე გაიხსნება რკინის გზის მიერ სასტუმრო, სადაც ოთხი ნომერი იქნება—ორი თითო ოთახიანი, ხოლო ორი ორ-ორ ოთახიანი. ნომრები შესაფერის ავეჯით იქნება მორთული; იქნება იქ სამოვარი და ჩაის ჭურჭელი. ზეწარი და ბალიშის პირები არ იქნება. სასტუმროსთან იქნებიან მოსამსახურენი, ქალები და კაცები. ფასი იმ ნომრისა, სადაც ორი ოთახია, დღე-ღამეში—2 მანეთი, ერთი ოთახი—1 მანეთი. სასტუმროსთან ბუფეტი არ გაიმართება. ბუფეტი ბაკურიანის სადგურზეა. სასტუმრო მოთავსებულია ახალს შენობაში სადგურთან.
ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი
(3—6.—2). ინჟინერი **ივანოვსკი**

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი
იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 6—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.
ელისაბედის ქუჩა, 38.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის ა. ხ. მუსხელაშვილისა.
(გედევანიშვილისეული)
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
ე ქ ი მ ე ბ ი:
ა. ი. ტიტინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.
ნ. ტ. მუღინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.
გ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკევით 10—11 ს.-მდე.
გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.
მ. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.
დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
გ. გ. მაჯსმეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.
ზრ. გ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ვენერიულისა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).
მუდმივი ექიმი გ. დ. ნასარიძე.
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრონტები—სამი მანეთიდან ხუთამდე.
ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ანგინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში.)
ტელეფონი № 274 (წლ.

ექიმი
ვ. ლამბაშიძე
იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.
ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. **ტელეფონი 642**

საზღვარ-გარედ

ბალკანეთი. მკითხველი მიაქცევდა ყურადღებას გუშინდელ დეპეშას სოფიიდან: „ოფიციალურ გაზეთ „ნოვ. ვეკ."-ში დაბეჭდილია მეთაური წერილი, რომელიც ამტკიცებს, რომ ბოლგარია პორტას უნდა დაუახლოვდესო, სტამბულოვის პროგრამა უნდა განვაახლოთო და პროგრესს უნდა ვაღწევდეთ ევოლიუციით და არა რევოლიუციითაო." თანახმად მთავრობის ასეთ პოლიტიკისა, ნაჩევიჩი მეორედ გაეგზავნეს კონსტანტინეპოლში დაწყებულ მოლაპარაკების განსაგრძობად. მაგრამ იმავე დღეს მეორე დეპეშა გვატყობინებს, რომ ნაჩევიჩი შუა გზიდან უკანვე დაიბარესო.

ეს ამბავი კარგს არას უნდა მოასწავებდეს ბალკანეთის მშვიდობიანობისათვის: ალბად, მოხდა რამ ისეთი, რაც შეუძლებლად ჰხდის ნაჩევიჩის მშვიდობიან მისიას და ეს „რამ" ოსმალეთ-ბოლგარიის დამოკიდებულების გამწვავება უნდა იყოს.

ოსმალეთი რომ არ ჰხუმრობს, რომ ბწყინვალე პორტას ბოლგარია ჰყავდა სახეში, როცა ამოდენა ჯარი გადმოიყვანა მაკედონიაში, და არა ალბანელები, ეხლა ყველასათვის ცხადი შეიქმნა.

სხვათა შორის, ფრანგულ გაზეთ „ტან"-ს ატყობინებს სოლუნელი კორესპონდენტი: „მაკედონიის საქმე, რომელიც აქამდე ევროპის უმთავრესს ყურადღებას იქცევდა, ეხლა თითქოს ისე მწვავე აღარ იყოს. მაკედონიის მდგომარეობა კი ისევ მეტად სერიოზულია. ოსმალეთს უმიზეზოდ და უმიზნოდ როდი ჰყავს დამზადებული ამოდენა შეიარაღებული ჯარის კაცები.

ამტკიცებენ, რომ ალბანიაში გაგზავნილ ჯარებს ბრძანება მოუვიდათ თავი მოიყარონ კუმანოვოსთან, რომელიც დიდ-მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნკტია კიუსტენდილის (ბოლგარია) წინააღმდეგ (როგორც დეპეშებიდან ვიცით, ოსმალეთის ჯარის-კაცები რამდენჯერმე გადავიდნენ კიუსტენდილთან ბოლგარიის ტერიტორიაზე).

დივიზიის გენერალმა იბრაჰიმ ფაშამ (სერესის სიმაგრის უფროსია) უკვე დაათვალიერა გარნიზონები და დარაჯები ბოლგარიის საზღვარზე. ეს დათვალიერება მეტად სასტიკი იყო და გაგრძელდა მთელი თვე. იბრაჰიმ ფაშას დიდათ აფასებენ სულთანის სასახლეში და ამიტომაც მას მიანდეს თვითონ ენახა და დაეფასებია ოსმალეთ ჯარების მდგომარეობა ბოლგარიის საზღვარზე და ყველაფერი სულთანისათვის მოეხსენებია".

◆ საშინელსა და საზარელ ამბავს მოგვითხრობს ერთი სოლუნელი კორესპონდენტი. ეხლახან მაკედონიაში, სოფელ გრადომორთან, სოლუნის ახლო ოსმალეთ ჯარის კაცებმა გაჟლიტეს მაკედონელ რევოლიუციონერების ერთი რაზმი.

„მართლაც სოფელ გრადომორთან ოსმალებმა გაჟლიტეს მთელი რაზმი რევოლიუციონერებისა. გადარჩა მხოლოდ ერთი მაკედონელი. მაგრამ იცით, როგორ მოხდა ეს გაჟლეტა? მოისმინეთ ეს პატარა, მაგრამ მართალი, ისტორია.

სოფელ გრადომორის მცხოვრებნი გაყოფილნი არიან ორ მტრულ ბანაკად: ერთ ბანაკს შეადგენენ ბოლგარები, რომელნიც თავიანთ ექსარხოსს ემორჩილებიან, და მეორეს—ბერძნები, საბერძნეთის პატრიარხის მომხრენი. ერთის საათის წინ, სანამ საშინელი ამბავი მოხდებოდა, რევოლიუციონერების რაზმი სოფლის ახლო გაჩერდა და ოთხი კაცი გაუგზავნა გრადომორის ბოლგარელ მღვდელს—ორი დღეა არაფერი გვიჭამია, შიმშილით ვიხოცებით, გვიშოვე პური და სხვა საჭმელი და გამოგვიგზავნეო. ბოლგარელმა მღვდელმა, ბერძენ მღვდლის შიშით გამოუცხადა რევოლიუციონერებს, რომ თხოვნას ვერ აუსრულებს, რადგან ბერძენი მღვდელი მაშინვე მთავრობას შეატყობინებს და მთელ სოფელსაც გაანადგურებენო. შიმშილით შეწუხებულმა რევოლიუციონერებმა სცემეს ბოლგარელ მღვდელს და მიმართეს თხოვნით ბერძენს. უკანასკნელმა თანაგრძნობით მოისმინა თხოვნა და შეჰპირდა ყველაფრის დამზადებას და გაგზავნას. მართლაც სულ მოკლე ხანში რამდენმამე ბერძენმა გლეხმა მიუტანეს რევოლიუციონერებს საკმაო პური, ხორცი და ყველი. რევოლიუციონერებმა, რასაკვირველია, დიდის სიხარულით და მადლობით მიიღეს ბერძნების ძღვენი, დიდი ქება შეასხეს ბერძენ მღვდლის გულკეთილობას და დასწყევლეს თავიანთი თანამემამულე. მაგრამ გამოძღნენ თუ არა, რამდენმამე კაცმა მაშინვე საშინელი ტკივილები იგრძნო კუჭში; ბევრს პირიდან დაუწყო საქმება... ბოლოს ტკივილები და პირიდან საქმება მოედო მთელ რაზმს... საშინელი კვნესა და გოდება გაისმა მთელს არემარეზე. მთელი რაზმი მოწამლული იყო. რევოლიუციონერები უწყლოდ გორავდნენ მიწაზე და ტკივილის სიმწარით ტანისამოსს იგლეჯდნენ ტანზე. ამ დროს ოსმალთა ჯარის რაზმიც მოვიდა და დაასრულა მართლმადიდებელ ეკლესიის მსახურის საშინელი საქმე. საწამლავს გადარჩა მხოლოდ ერთი რევოლიუციონერი, რომელმაც თავს უშველა".

ფელეტონი

იმპერიალისმი და მონობა

სპენსერი

დიდი ბრიტანია თითქმის მთელი სამი წელიწადი ებრძოდა ბურების ორ პატარა რესპუბლიკას. თვითონ ინგლისში ბევრი იყო წინააღმდეგი ამ უსამართლო ომიანობისა, მათ შორის სახელოვანი ფილოსოფოსი და სოციოლოგი ჰერბერტ სპენსერიც. დიდმა ულმა ინგლისელმა ამ ომიანობის გამო ფრიად საინტერესო აზრები გამოსთქვა იმპერიალისმის შესახებ.

I*)

„უნდა დაგვემორჩილოთ! ჩვენ ბატონები ვართ თქვენი და გაიძულებთ კიდეც იცნოთ ბატონობა"-ო. ეს სიტყვები სავსებით ხატავენ იმ გრძნობას, რომელიც ხელმძღვანელობდა ბრიტანიის ერს სამხრეთ-აფრიკის საქმეში. და ეს გრძნობაა რომ გამეფებულია ინგლისის პოლიტიკაში იმპერიალისმის სახელით.

არიან ისეთი პირები—და სამწუხაროდ ესენი უმრავლესობას შეადგენენ,—რომელნიც ჰფიქრობენ, რომ როგორც ზნეობრივ, ისე ისტორიულად დიდი კეთილშობილებაა, როცა ვისმე აიძულებ უერჩყოს საკუთარი ნება და დაემორჩილოს სხვას, გაბატონებულის ქეიფსა და სურვილს.

მაგრამ არიან ისეთი პირებიც,—სამწუხაროდ, ამათი რიცხვი ერთობ მცირეა,—რომელნიც დიდ უპატიოსნობად სთვლიან თავის მოყვასის დამორჩილებას და კეთილშობილებას ხედავენ არა მარტო ამ მოყვასის თავისუფლების პატივისცემაში, არამედ მის დაცვაშიაც.

გარდა წმინდა ზნეობრივ პრინციპისა, არის კიდევ სხვა-გვარი მოსაზრება, რომელიც იმპერიალისმის წინააღმდეგ ლაპარაკობს: ბატონობა აუცილებლად თვით ბატონს ამონავებს ამა თუ იმ სახით.

არა თუ გაუნათლებელ ბრბოს, განათლებულ და კულტუროსან წრესაც სისულელედ ეჩვენება ეს აზრი და ისინიც-კი, ვინც ჰკითხულობს ისტორიას და არსებით მხარეს აქცევს ყურადღებას და არა წვრილმანებს, ესენიც კი ვერ წარმოიდგენენ, თუ რამდენი მაგალითი ამტკიცებს ზემოდ გამოთქმულ მოსაზრებას.

ჩვენ თვალ-წინ დგას ხელ-შეკრული და კისერზე თოკ-მობმული ტყვე (ასირიის ბარელიეფის სურათია), რომელიც მოჰყავს გამარჯვებულ ველურ მეომარს, რომ მონად გაიხადოს. ყველა იმას იტყვის, რომ ერთი ტყვეა და მეორე თავისუფალი. მაგრამ ეგრე კი არის? გამარჯვებულს, რომელიც ჩვენ თავისუფლად მიგვაჩნია, ხელში უჭირავს თოკის ბოლო და თუ სურს, რომ ტყვე არ გაიქცეს, ძალიან მაგრად უნდა მოუჭიროს ხელი. ამ გვარად ის თვითონ მიკრულია თავის ტყვეზე. სხვანაირად რომ ვსთქვათ, გამარჯვებულის მოქმედებაც შეზღუდულია და განსაზღვრული ტვირთი მასაც აწევს. გზაზე ნადირი გადაეყარათ, მაგრამ ტყვეზე მიკრულ „თავისუფალს" არ შეუძლია გამოუდევნოს; წყალი მოსწყურდა, იქვე ახლოს წყარო არის, მაგრამ წყალი რომ დალიოს, ტყვეს ფეხებიც უნდა შეუკრას, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი გაიქცევა; გარდა ამისა ტყვის პატრონმა უნდა იზრუნოს ორის გამოკვებაზე და არა ერთისაზე. ასეა თუ ისე, გამარჯვებული ველური მეომარი ვერ სარგებლობს სრულის თავისუფლებით. ეს მაგალითი ცხად-ჰყოფს იმ საყოველთაო ჭეშმარიტებას, რომ რა საშუალებაც გამარჯვებულს უმორჩილებს დამარცხებულს, იგივე საშუალება იმონავებს გამარჯვებულ ბატონსა და მმართველს.

სამხრეთ-აფრიკის ომიანობა და იმპერიალისმის აღორძინება ინგლისში ერთ და იმავე დროს მოხდა და ეს იმის უეჭველი საბუთია, რომ მილიტარისმი და იმპერიალისმი მჭიდროდ არიან დაკავშირებული და წარმოადგენენ ერთ და იმავე საზოგადოებრივ წყობილების სხვა-და სხვა ფორმას. და სხვანაირად არც შეიძლება იყოს.

დამორჩილებული ტომი და დამორჩილებული საზოგადოება მეტად უკმაყოფილოა, რომ მმართველს, გაბატონებულ ხალხს ემორჩილება: აქ მორჩილება ყოველთვის იძულების შედეგია. ჯარი არის მუდმივი აგენტი ამ იძულების და ძალმომრეობისა და თუ არ ჯარი, სხვაფრივ ასეთ წეს-წყობილების შენახვა შეუძლებელია. თუ ერთი ხალხის ბატონობას მეორე ხალხზე ზურგს უკან მოქმედი

---

*) В. И. Л.-ის მეექვსე წიგნიდან.

ძნელი დასაჯერებელია ეს ამბავი. მაგრამ, თუ გავიხსენებთ ბერძენ-ბოლგართა დამოკიდებულებას, ბერძენ სტუდენტების თხოვნას სულთანის წინაშე—ჯარში მიგვიღეთ, რომ ბოლგარები ვძლიოთო, ეს საშინელებაც შესაძლებლად მიგაჩნია.

მაკედონიის საქმის უმთავრესი სიძნელეც თვითონ ბალკანეთლების ეს ურთიერთი დამოკიდებულებაა.

გერმანია. საერთო ხასიათი გერმანიის საპარლამენტო არჩევნებისა გამოირკვა, მაგრამ წვრილმანებში გაზეთების ცნობები ერთმანერთს ეწინააღმდეგებიან. ამიტომ ერთხელ კიდევ მოგვყავს „რუსკია ვედომოსტი“-ს ბერლინელ კორესპონდენტის დეპეშა, რომელიც ცოტათი განსხვავდება „რუსეთის სააგენტოს“ დეპეშისაგან: „დამატებითი ოფიციალური ანგარიში გვიჩვენებს შემდეგს: თავისუფალი მოაზრე პარტი დამარცხდა; აირჩიეს კონსერვატორი. არჩევანების საბოლოო შედეგი არის—ცენტრს ჰყავს 99 დეპუტატი წინანდელ 106-ის მაგიერ; მაშასადამე დაუკარგავს შვიდი ადგილი; სოციალისტებს 82 წინანდელ 58 ის მაგიერ; კონსერვატორებს 52, როგორც წინად; ნაციონალ-ლიბერალებს 50, წინად—53; თავისუფალ კონსერვატიულ პარტიას 17 ოცის მაგიერ; თავისუფალ მოაზრე სახალხო პარტიას—9 თხუთმეტის მაგიერ; სამხრეთ გერმანიის სახალხო პარტიას ხუთი შვიდის მაგიერ; პოლონელებს 17 თოთხმეტის მაგიერ; ანტისემიტებს 9 12-ის მაგიერ; ელზასელებს შვიდი ცხრის მაგიერ.

ამ გვარად წინანდელ უმრავლესობის მდგომარეობა რაოდენობით შესამჩნევად არ შეცვლილა: მაგრამ სოციალ-დემოკრატიის ასეთ გაძლიერების გამო ეს მდგომარეობა უფრო გაძნელებული იქნება“.

◆ საფრანგეთის პალატის დეპუტატი ჟორესი ეხება „ლა პტიტ რეპუბლიკ“-ში გერმანიის საპარლამენტო არჩევნებს და შემდეგ აზრს გამოსთქვამს: „სოციალ-დემოკრატიამ გაიმარჯვა არა მარტო ლიბერალურ ბურჟუაზიაზე; აგრარიებიც საგრძნობლად დამარცხდნენ დემოკრატების მიზეზით და ზოგგან, სამხრეთ გერმანიაში და რეინის პროვინციებში, ცენტრიც დიდ საფრთხეში იყო.

კათოლიკების პარტია უახლოეს მომავალში აუცილებლად და უმთავრესად შეებრძოლება სოციალ-დემოკრატიას...

შეუძლებელია, რომ მთავრობამ ხელზე დაიხვიოს სოციალ-დემოკრატიის გამარჯვება და რამე ღონისძიება მიიღოს საყოველთაო საარჩევნო კანონის წინააღმდეგ. ასეთი ღონისძიება მაშინ იქნება საფიქრებელი, თუ მთავრობა სავსებით ცენტრისა და აგრარიების ხელში იქნება.

გერმანიის იმპერატორის პოლიტიკამ კლერიკალების მიმართ შესამჩნევი უკმაყოფილება გამოიწვია რეფორმაციის ქვეყანაში და აგრარიების ტირანიაც აუტანელი შეიქმნა. თვითონ კანცლერმა სთქვა, რომ თუ აგრარიებმა გაიმარჯვეს, შეუძლებელი გახდება მთავრობაცა და რომელიმე ეკონომიური პოლიტიკაც, ცოტათი მაინც შესაფერი თანამედროვე მოთხოვნილებათა; ამიტომ სოციალ-დემოკრატიის არსებობა აუცილებლად საჭიროა ერის წესიერ ცხოვრებისათვისო. ჩვენ ვხედავთ, რომ იმპერატორ ვილჰელმის სიტყვებსა და ბიულოვის ნათქვამ შორის პირდაპირი წინააღმდეგობაა: იმპერატორი შეურიგებელი მტერია სოციალ-დემოკრატიისა და ქვეყნის მტრად სთვლის ამ პარტიას; ბიულოვი კი ხედავს მასში მუშების წარმომადგენელს. ეს წინააღმდეგობა ცხადათ სჩანს იქიდან, თუ როგორ იქცევა მთავრობა სხვა და სხვა პარტიის შესახებ: არც აგრარიების გამარჯვება სურს, მაგრამ სოციალ-დემოკრატიის გაძლიერების წინააღმდეგაც იბრძვის. მთავრობის ასეთი რყევა იმის ნიშანია, თუ რამდენად გართულდა გერმანიის პოლიტიკური მდგომარეობა და რამდენად ძნელი იქნება მთავრობისათვის რაიმე რეპრესიულ ზომების მიღება სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ, რომელიც, თვით მთავრობის წარმომადგენელის შეხედულებით, აუცილებელი ელემენტია აგრარიების რეაქციის წინააღმდეგ“.

ახალი ამბავი

◆ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ ორი კაცი აარჩია იმ კრებებზე დასასწრებლად პეტერბურგში, რომელიც მოჰხდება **მეღვინე-მევენახეობის საქმეების გამო.** რადგან კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილებში სხვა-და-სხვა ნაირი ღვინო მზადდება და რადგან ტეხნიკა ღვინის მომზადებისა და მევენახეობისა ერთნაირი არ არის ყველგან, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ საუმჯობესოდ სცნო დასახელებულ კრებაზედ წარმომადგენელნი გაიგზავნოს როგორც ტფილისისა, ისე ქუთაისისა, ერევნისა და განჯის გუბერნიებიდან. ამის გამო გუშინ საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა მისწერა საზოგადოების ქუთაისისა, ერევნისა და განჯის განყოფილებებს და დაავალა შუამდგომლობა აღძრან მიწათ მოქმედების სამინისტროს წინაშე, რომ იმათ ნება მიეცეთ თავიანთი წარმომადგენლებიც გაჰგზავნონ.

◆ **უმაღლესის ბრძანებით** ქალაქ ტფილისს უნდა ჩამოერთვას ადგილი ავლაბარში. ეს ადგილი საჭიროა ჯარისათვის სასროლის მოსაწყობად. ქალაქის გამგეობამ ამას წინად დააფასებინა ადგილი და აღმოჩნდა, რომ იგი 293,350 მანეთად ჰღირს.

◆ როგორც გავიგეთ, **დრამატიულ საზოგადოების გამგეობა** უკვე შესდგომია მომავალ სეზონის რეპერტუარის შედგენას. სხვათა შორის, 18 ივნისსაც ჰქონდა ამის შესახებ კრება. ამ კრებაზე ზოგიერთი არტისტი და რედაქციების წარმომადგენელნიც იყვნენ მიწვეულნი. კრებამ დაასახელა პიესები და სასურველად სცნო ახლების გადმოთარგმნა. ლაპარაკი ჩამოვარდა რეჟისორზედაც. ბევრმა სასურველად სცნო მორიგ რეჟისორობის შემოღება.

◆ გუშინ, 19 ივნისს, მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულმა გაუგზავნა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას 1000 მან. ნაწილი იმ ფულისა, რომელიც სამინისტრომ გადასდო **ტფილისის სახელოსნო სკოლის** შესანახად.

◆ ხვალიდან ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დაიწყება **საჯარო ვაჭრობა** იმ მამულების გასასყიდად, რომლის პატრონთ ფული არ შეუტანიათ. 21 ივნისს გაიყიდება ტფილისის მამულები.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განუმარტა **სახელოსნო სასწავლებლის** დირექტორს, რომ პირველ კლასში უმთავრესად უნდა მიღებულ იქმნან ის ტფილისელნი, რომელნიც გაათავებენ ქალაქის პირველ დაწყებით სკოლებს. გუშინ დირექტორმა შეატყობინა გამგეობას, რომ ამ განკარგულების განხორციელება ძნელია. მოსწავლენი, რომელნიც ქალაქის სკოლებში ათავებენ სწავლას, ერთნაირ მოწმობებს იღებენ. როცა ბევრია მთხოვნელი და მიღება კონკურსით ხდება, მაშინ ძნელია იმის გადაწყვეტა, ვის მიეცეს უპირატესობა, რადგან, ერთნაირ მოწმობებს გარდა, არც არის აღნიშნული მოწმობაში ბავშვი ქალაქის მცხოვრებია თუ არა. დირექტორმა სთხოვა გამგეობას ხელმძღვანელობა გაუწიოს და აცნობოს, როგორ მოიქცეს მოსწავლეთა მიღების დროს, აგრეთვე განუმარტოს, ვინ არიან ტფილისის მკვიდრნი, რომელთა შვილებსაც მიღების დროს უპირატესობა უნდა მიეცეთ.

◆ კავკასიის გამოფენის დროს ზარალი მოუვიდა **ტფილისის სახელოსნო სკოლასაც:** აჩეხეს და გააფუჭეს მაშინ ბაღი ამ სკოლისა. რადგან სამეურნეო საზოგადოებამ სამინისტროსაგან 24,260 მან. მიიღო, სკოლის გამგემ სთხოვა საზოგადოების საბჭოს, გადაუხადოს სკოლას ის 3266 მან. 60 კაპ., რომელიც სკოლამ გამოფენის დროს იზარალა.

◆ გუშინ, 19 ივნისს, სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრების მიხეილ კალანდარაშვილისა, რომელსაც **კაცის მოკვლა** ჰბრალდებოდა. ქუთაისის ოლქის სასამართლომ კალანდარაშვილს გადაუწყვიტა უფლებათა ჩამორთმევა და კატორღაში 4 წლით გაგზავნა. პალატამ შეუცვლელად დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

◆ რედაქციამ მიიღო **საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“** მე-6 ნომერი. შინაარსი ამ ნომრისა: 1) **ლექსი**—შ. მღვიმელისა 2) **პატარა [illegible]** (ფრანგულიდან)—კნ. ანასტასია ამილახვრისა. 3) **ტყუილის მოტრფიალე,** იგავი—ალ. მირიანაშვილისა. 4) **სამშობლოსკენ,** ამბავი—ნიკო ხუციშვილისა. 5) **მსუნაგი [illegible]** (ფრანგულიდან)—ტასოსი. 6) **ზოოლოგიური ბაღის მცხოვრებლები**—თეთრი დათვი—(თარგმანი)—ნიკო მაჩაბლისა. 7) **ფრანგის ამბავი** (ფრანგულიდან)—ელენე ხელთუფლიშვილისა. 8) **როგორ აკეთებენ ქაღალდს** (გადმოკეთებული)—კოტე ელიოზიშვილისა. 9) **თავ-განწირული შვილი** (რუსულიდან)—გ. ფირალიშვილისა. 10) **მონადირის შვილი სამ-ნაჭერა** (ზღაპარი)—ალ. ცუცქირიძისა. 11) **ძველი ისტორია** ერნესტ ლავისისა, (რომის იმპერია) თარგმანი—ნ. შენგელაიასი. 12) **წვრილმანი:** ანდაზები, გამოცანები, ჩქარა გამოსათქმელი, შარადა, რებუსი, ახსნა და განცხადება.

◆ სადგურ ჯაჯურიდან (ყარსის გზა) გვწერენ: 17 ივნისს აქ შემდეგი შემთხვევა მოხდა. ნაშუადღევის სამ საათზედ ასტყდა ელვა და ქუხილი, რომელსაც მოჰყვა ძლიერი ქარი და დიდი წვიმა. ერთის საათის შემდეგ ცა ისევ მოიწმინდა, მაგრამ ამ მოკლე ხნის წვიმამ იმსხვერპლა სამი კაცი. ესენი იყვნენ სოფელ სარიარში მცხოვრებნი, რომელნიც სჭრიდნენ ქვას და ურემზედ ადაგებდნენ სადგურზე ჩამოსატანად. დიდის წვიმის დროს ურემს ქვეშ შემძვრალიან, მაგრამ დაეცათ თურმე მეხი; ორი იქვე დაიწვა, ხოლო ერთი ცოცხალ-მკვდარი მოიტანეს სახლში.

◆ გუშინ, 19 ივნისს, სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე სტეფანე გურგენიძისა, რომელსაც ყაჩაღობა ჰბრალდებოდა. ქუთაისის ოლქის სასამართლომ გურგენიძე უდანაშაულოდ სცნო. პალატაში პროტესტი განაცხადა სასამართლოს განაჩენზე ბრალმდებელმა. პალატამაც უდანაშაულოდ იცნო გურგენიძე.

◆ კავკასიის გამოფენის სამხატვრო-სახელოსნო განყოფილების გამგედ ნამყოფმა გამოუცხადა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, სახელოსნო განყოფილების მოწყობის დროს 192 მან. 42 კაპ. დავხარჯე და გადამიხადეთო.

◆ ტფილისის სულით ავადმყოფთა თავშესაფარის გამგემ ექიმმა გედევანიშვილმა სთხოვა ქალაქის გამგეობის სამშენებლო განყოფილებას გაეგზავნოს ტეხნიკოსი თავშესაფარის სადგომის გასასინჯად, რადგან შენობა ძველია და უნდა შეკეთდეს.

◆ 18 ივნისს, ოლღას ქუჩაზე, ყორღანოვის სახლში უეცრად გარდაიცვალა სამსახურს გარეშე მყოფი გენერალი ვლადიმერ ბუტენკო. გარდაცვალებულის გვამი შესამოწმებლად გაჰგზავნეს მიხეილის სამკურნალოში.

◆ 18 ივნისს, პოლიციის მე-9 ნაწილში, საეკლესიო ქუჩაზე, ცხენის რკინის გზის ვაგონმა № 30-მა ქვეშ მოიტანა ტფილისის მცხოვრები ავაკიმ ტერ-ყაზაროვი, რომელსაც თავი და ტანი ისე ძლიერ დაუშავდა, რომ მორჩენა საეჭვოა. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

◆ ლაბორატორიის ქუჩაზე, არგუტინსკი-დოლგორუკოვის სახლის შესავალთან, 18 ივნისს პოლიციელმა ჰნახა მიგდებული ბავშვი მდედრობითის სქესისა. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

რუსეთის ქრონიკა

◆ გამოქვეყნებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება სათავად-აზნაურო კადეტთა სკოლების დაარსების შესახებ. სკოლები უნდა დაარსდეს თავად აზნაურთა შუამდგომლობითა და ფულით. ხაზინა შემწეობას აღმოუჩენს: ერთხანად—გადასდებს შენობის ასაგებად 150 ათას მანეთს თითო სკოლისათვის და მუდმივ—იკისრებს ყოველ წლიურ ხარჯის ნახევარს ან სამ მეოთხედს. სათავად-აზნაურო კადეტთა სკოლებს აზრად ის ექნებათ, რომ ღარიბ თავად-აზნაურთა შვილები მოამზადონ იუნკრის სასწავლებელში შესასვლელად. ამ სკოლებში მიიღებენ 11--$15^{1}/_{2}$ წლისებს.

◆ მკითხველებმა იციან, რომ პეტერბურგში უნდა მოხდეს საპროფესიონალო და სატეხნიკო ცოდნის მოღვაწეთა კრება. ამბობენ, ამ კრებაზე 3000 კაცამდე შეიკრი-

---

ან პოტენციალური ძალა არა აქვს, ეს იმპერიალისმი კი არ იქნება, არამედ ფედერაცია, ხალხთა ნება ყოფლობითი კავშირი. სადაც იმპერიალისმია გამეფებული, არ შეიძლება მილიტარისმიც არ გამეფდეს და მილიტარისმი კი თავისუფლების შემავიწროებელი და შემამცირებელია.

ძველ დროის ისტორიაში ბევრია ამის დამამტკიცებელი მაგალითი. არ ვიცით, იყო რითიმე შეზღუდული თუ არა ეგვიპტის მბრძანებლების უაღრეს-უფლებიანობა, მაგრამ იმის საბუთები კი გვაქვს, რომ ეს მბრძანებელი შეიქნა მონა მსამართველო ორგანიზაციისა: „ყოველი ნაბიჯი მის კერძო ცხოვრებაში, ისე როგორც ყოველი მისი მოქმედება სახელმწიფო საქმეში, ექვემდებარებოდა სასტიკ კანონს. სეირნობის, თუ სხვა სიამოვნების და მუშაობის დრო კანონით იყო დანიშნული; მის საჭმლის რაოდენობა და თვისებაც კანონით იყო განსაზღვრული“.

სხვა ხალხების დამონავებისა და თვით დამმონავებლის დამონავების დამოკიდებულება კიდევ უფრო ცხადათ სჩანს კარნაკის შემდეგ წარწერიდან: „რა მწარედ და ძვირად ჯდება ქვეყნების დაპყრობა იმ მუდმივ და მძიმე ტვირთის გამო, რომელსაც გვაზიდვინებს საკუთარი მუდმივი ჯარი“.

სპარტა ეგვიპტე არ არის, მათ შორის დიდი და ძირითადი განსხვავებაა, მაგრამ ამ თემის ისტორიაც იმავ ჭეშმარიტებას გვიმტკიცებს.

გამარჯვებული სპარტანელები ბატონობდნენ დამარცხებულ ადგილობრივ მცხოვრებლებს პერიოიკებს და ჰილოტებს; ორჯელ მთელ პელოპონეზსაც ბატონობდნენ, მაგრამ როგორ დაუჯდათ ეს ბატონობა? ყოველი სპარტანელი, ბატონი თავის სრულ თუ ნახევარ მონებისა, იყო მონა სპარტანულ კორპორაციისა: ატარებდა ისეთ ცხოვრებას, რომელიც მას თვითონ კი არ ამოურჩევია: საზოგადოებამ უბრძანა ასე ეცხოვრა და ისიც ემორჩილებოდა ამ ბრძანებას; ეს ცხოვრება იყო უსასტიკესს დისციპლინის ასრულება: არც კულტურას, არც ხელოვნებას, არც პოეზიას და არც სხვა სიამოვნებას აქ ადგილი არა ჰქონდა. სპარტანელი იყო სრული განხორციელება ბერძნულ შეხედულებისა—მოქალაქე არ ეკუთვნის არც თავის თავსა და არც ოჯახს, არამედ თავის თემს.

რომის იმპერიაში კიდევ უფრო აშკარა იყო აუცილებელი დამოკიდებულება იმპერიალისმსა და მონობას შუა.

იმპერიის დროს სამი მეოთხედი იტალიაში მცხოვრებ ხალხისა მონები იყვნენ, მონები, რომელთაც ყანაშიაც და ძილის დროსაც ბორკილი ჰქონდათ გაყრილი. მაგრამ საინტერესო და საყურადღებო აქ ის არის, რომ საზოგადოების „თავისუფალ“ ნაწილის წარმომადგენელნიც-კი სხვა-და სხვა ხარისხის მონები იყვნენ: სამხედრო სამსახურში მყოფნი თითქმის სრული მონები იყვნენ თავიანთ უფროსებისა—დისციპლინა ისე სასტიკი იყო, რომ მტერზე უფრო საკუთარ აფიცრისა ეშინოდათ. დავანებოთ თავი სამხედრო წოდებას; ჩვეულებრივი „თავისუფალი“ რომაელი მონა იყო საზოგადოებისა: „ყოველი მოქალაქე სახელმწიფოს მსახური იყო; თვითეულ მოქალაქის მდგომარეობა და ხელოვნება ერთხელ და სამუდამოდ იყო განსაზღვრული.“ მთელი საზოგადოება რომის იმპერიისა შესდგებოდა სხვა-და-სხვა ჯურის მონებისაგან: აქ იყვნენ მებრძოლი მონები, მოხელენი, მომუშავენი და მიწის დამმუშავებელნი. რაღას წარმოადგენდა უაღრესი მბრძანებელი ამ უზარ-მაზარ ბიუროკრატიისაა, რა იყო იმპერატორი? სათამაშო პრეტორიანების გვარდიისა, რომელიც დაცვის საშუალება იყო და შიშის მიზეზი კი გახდა. ჯარის კაცებზე უფრო იმპერატორი ემორჩილებოდა ყოველ დღიურ რუტინას. გიბონის სიტყვით, „იმპერატორი იყო პირველი მონა იმ ცერემონიებისა, რომელსაც თვითონ ჰქმნიდა.“ ამ გვარად, რომი ცხადად გვიჩვენებს, რომ ის საზოგადოება, რომელიც სხვას იხდის მონად, თავის თავსაც იმონებს.

ამასვე ვხედავთ რომის იმპერიის დაცემის შემდეგაც, როცა გამეფებული იყო ძალმომრეობა და სისხლის ღვრა. მაგრამ თავი დავანებოთ ფრედეგონდისა და ბრუნეგილდის დროს და ვნახოთ ფეოდალურ წეს-წყობილების დასაწყისი. ამ რეჟიმის დახასიათება შეიძლება ოთხის სიტყვით: სიუზერენი, ვასალი, ყმა და მონა—სიუზერენები ერთი მეორეს ებრძოდა განუწყვეტლივ პირველობისათვის, განუწყვეტელ ბრძოლის და ომიანობის შემდეგი ის იყო, რომ ყოველი უფროსი თავის სამფლობელოში სრული ბატონ-პატრონი იყო. „მე თქვენი მსახური ვარ“ ო ეუბნებოდა უმცროსი უფროსს და ეს ფრაზა ნამდვილად ხატავს მთელ მაშინდელ საზოგადოების ერთი საფეხურის დამოკიდებულებას მეორესთან. აქაც მონების ბატონი

ზებაო. გაიმართება აგრეთვე მეტად საინტერესო გამოფენა.

◆ მეტად ნაყოფიერად მოქმედებს ხარკოვში ადგილობრივ წერა-კითხვის საზოგადოების მიერ დაარსებული სახალხო სახლი. ეს სახლი მხოლოდ 2 თებერვალს გაიხსნა და მას შემდეგ უკვე გაიმართა 20 წარმოდგენა, 7 კონცერტი, ერთი სახალხო კითხვა და 5 ლექცია. წარმოდგენებს დაესწრო **15,889** კაცი, კონცერტებს—**4,116**, ლექციებს—**958**, კითხვას—**828**, სულ **21,741** კაცი. ღარიბელი ხალხი დადის თურმე ამავე სახლის საჩაიესა და სასადილოში, სადაც სულ იაფად აჭმევენ და ასმევენ.

◆ ლიფლიანდიის გუბერნიის ქალაქ ვოლმარში ერთი ადგილობრივი პასტორი პოლიციამ პასუხის გებაში მისცა—საიდუმლო სკოლა აქვსო. როგორც გამოირკვა, პასტორ ტრეის ოთხი თუ ხუთი შვილი ჰყოლია. ამ ბავშვებთან ერთად პასტორი ასწავლიდა თურმე მეზობლის შვილებსაც, ასე რომ სულ პასტორის შვილებიანა იყო 9 ბავშვი. პასტორის გარდა ასწავლიდნენ ამათ ქალები აკკენნანი და დანნენბერგი. ამ უკანასკნელს დიპლომი არა ჰქონია მასწავლებლობისა. სასამართლოში პასტორს განუმარტავს, რომ საკუთარის შვილებისა და იმათთან ერთად ორიოდე სხვის სწავლება ყველას შეუძლიან; რაც შეეხება შინ მასწავლებელ ქალების ყოლას, იშვიათია ისეთი მდიდარი ოჯახი, რომელსაც სახლში არა ჰყავდნენ ხშირად სულ უვიცი მასწავლებელი ქალები და კაცები, ამასთან უმეტეს ნაწილად ფრანგები და გერმანელები. მოსამართლემ პასტორი 3 მანეთით დააჯარიმა, ხოლო ერთი მასწავლებელი ქალი—1 მან.

◆ ელეცის ერთ სასამართლოში გლეხს ტრუბიცინს თხოვნა შეუტანია. გლეხი სწერდა, რამდენიმე წელიწადია ცოლი გამექცა ქალაქში, იქ დაუახლოვდა ერთ ვაჭარს და იმასთან სცხოვრობს; მე-კი აქ უცოლოდ ვარო. გლეხი სთხოვდა სასამართლოს, ცოლი დაებრუნებინა. დაიბარეს ცოლი, მაგრამ იმან გადაჭრილი უარი უთხრა, საყვარელთან ორი შვილი მყავს და თავს ვერ გავანებებო. მაშინ სასამართლომ ურჩია გლეხს, დაუთმე შენი ცოლი, სულ ერთია, მაინც აღარ გამოგადგებაო. გლეხი დაფიქრდა და ბოლოს 1000 მანეთი ფულად და „მალარიჩი" მოითხოვა. ვაჭარმა 300 მანეთი შეაძლია. იმ დღეს ვერ მორიგდნენ და საქმე მეორე დღეს გაათავეს. ასე მიუყიდნია გლეხს თავისი ცოლი სხვისათვის.

პრესსა

დუშეთის მახლობლად, საზაბუროში, საოცრად გამწვავებულია ურთი-ერთობა მემამულეთა და გლეხთა შორის. აი, რასა სწერენ „ნოვოე ობოზრენიე"-ს დუშეთიდან:

> „კარგა მოზრდილ სოფელ საზაბუროში აზნაურებს შაბურიშვილებს, ფავლენიშვილებსა და კეზელებს აქვთ რამდენ-რამდენიმე დესეტინა სახნავი და სათიბი ადგილები და ტყე. საზაბუროს მამულის მეორე, კარგა მოზრდილი ნაწილი ეკუთვნით მესაკუთრე და სახელმწიფო გლეხებს. ზოგიერთი გლეხი ამავე დროს მოიჯარადრეც არის ზემოდ მოხსენებულ მემამულეთა მიწისა. გლეხნი იჯარის ფულს იხდიდნენ მხოლოდ სახნავში, საძოვარში კი არაფერს აძლევდნენ, რადგან თვით მემამულეთა საქონელიც ხშირად სძოვს ხოლმე გლეხთა მიწაზე. ეხლა, როგორც აქ ამბობენ, აზნაურებს პირი შეუკრავთ და შეთანხმებულან, რომ საძოვრად აღარ შეუშვან საქონელი. დააყენეს დარაჯნი და მიჰმართეს გუბერნატორს დასახმარებლად. გუბერნატორისაგან უკვე მოუვიდა მოწერილობა სამაზრო ადმინისტრაციას, რომ მორიგებით გაათავეთ საქმეო. მაგრამ საკეთილო ნაყოფი ვერც ამან მოიტანა. ყრილობაზე გლეხებმა გადაჭრით განაცხადეს, ჩვენ არაფერს გადავიხდით საძოვარშიო. ამასთან გლეხებმა გადასწყვიტეს, გასწყვიტონ მემამულეებთან ყოველივე კავშირი და იმათი საქონელი აღარ შეუშვან თავიანთ მიწა-ადგილში.
>
> 11 ივნისს ასამდე გლეხი შეუდგა კარ-და-კარ სიარულს და გლეხების დარიგებას, რომ ნურა საქმეს ნუ დაიჭერთ მემამულეებთანაო. ყრილობაზე ბოქაული მოვიდა, რომელმაც, როგორც იქნა დააშოშმინა გლეხები. დააპატიმრეს ორი ნაცვალი, მამასახლისის ერთი თანაშემწე და ერთი გლეხი.

⁂

რუსეთის პრესსა სიხარულით მიეგება უმაღლესს ბრძანებას, რომლის ძალითაც გაუქმდა თავის პარსვა და ცემა ციმბირსა და კატორგაში გაგზავნილთა. სხვათა შორის, „ბირჟევ. ვედ." სწერს:

> ამიერიდან გაუქმდა ბარბაროსული, ძველად დარჩენილი სასჯელები: თავის მოპარსვა, მათრახით ცემა და ურემზე მიბმა. ხშირად ასეთ ცემასა და სასჯელს სიკვდილი მოსდევდა ხოლმე. ამბობენ, მხოლოდ კატორგის სისხლ გამშრალ ადმინისტრატორებს შეეძლოთ ასეთ სასჯელის ყურებაო. რა თქმა უნდა, ასეთ სამარცხვინო სასჯელის გაუქმებას რუსის საზოგადოება დიდის სიხარულით მიეგებება. ეს ერთი დიდი საფეხურია პროგრესის გზაზე. ამ სასჯელის ნაცვლად შემოიღეს სხვა სასჯელები: ან კატორგაში ყოფნის ვადას გაუგრძელებენ ან კიდევ ცალკე სენაკში დაამწყვდევენ დამნაშავეს.

ასევე სიხარულით ეგებება ამ კანონს მეორე გაზეთი „ნოვოსტი".

ტფილისის ქალაქის საბჭო

18 ივნისის სხდომა

ოთხშაბათიდან წინანდელ მორიგ კრების გაგრძელება დაიწყო, რადგან 39 საქმე დარჩა საბჭოს გასარჩევად. პირველად მოხსენდა საფინანსო კომისიის დადგენილება გამგეობის მიერ სხვა-და სხვა ხარჯების აღრიცხვის გამო. კომისიას დაუდგენია: 1) ვსთხოვოთ გამგეობას, წარმოუდგინოს საბჭოს ქალაქის თვით-მმართველობაში მოსამსახურეთათვის ხუთის წლის ნამსახურობის დაჯილდოების შესახებ პროექტი და აგრეთვე თვით ამ დაწესებულებაში საზოგადოდ ყველა მოსამსახურეთა შტატების შეცვლის შესახებ. ამის შესახებ მოხსენება დიდი ხანია მზადაა და დაბეჭდილია კიდეც. 2) აგრეთვე საპენსიო წესდების პროექტიც მოხსენდეს, რადგან ეს პროექტიც რამდენიმე წელიწადია დაბეჭდილია. 3) გამგეობამ დააჩქაროს იმ მოხსენების დამზადება, რომლითაც მთავრობას უნდა ვსთხოვოთ, ქალაქი განთავისუფლებულ იქმნას პოლიციის შესანახ ხარჯების მიცემისაგან. 4) გამგეობამ დააჩქაროს იმ პროექტის წარმოდგენა, რომლის შემწეობით ქალაქი ცეცხლის მხრით უფრო უზრუნველ-ყოფილი უნდა იქმნეს. 5) ვსთხოვოთ საბჭოს ცალკე კომისია აირჩიოს იმისათვის, რომ ქალაქის განათების საქმეზე ხარჯებსა და თვით ქალაქის ნავთით განათების გაუმჯობესებას თვალ-ყური ადევნოს და ზოგი სხვაც.

გამგეობამ მოახსენა საბჭოს, რომ ზოგ ამ შენიშვნების შესახებ მზადა გვაქვს მოხსენება, ზოგის შესახებაც სექტემბრისათვის დავამზადებთ და მოგახსენებთო. საბჭომ მიიღო კომისიის დადგენილებანიც და გამგეობის განმარტებანიც.

ვინმე ბაჭი-მამედ ალი ფაშა-ოღლი, რომელსაც დიდი ხანია ქალაქისაგან მეექვსე უბანში ადგილი შეუძენია, სთხოვდა საბჭოს, ამოეშალათ ნასყიდობის საბუთიდან ის პირობა, რომელიც ხელს მიშლის ჩემი მამული ბანკში დავაგირაოო. ამისთანა ნასყიდობაში ქალაქის გამგეობა პირობას უწერს ყველას: თუ ვინიცობაა ქალაქს რამდენიმე ნაჭერი მიწა დასჭირდა ქუჩის პირად ქუჩის გასაგანიერებლად, მყიდველი მოვალე ეს ადგილი ქალაქს დაუთმოსო. ბაჭი-მამედი სთხოვდა: ჩემი სახლის წინ მეზობლების სახლების გასწვრივ ერთ ხაზზეა გამოყვანილი; მე კიდევაც რომ დავუთმო ადგილი, ქალაქი ამით ქუჩას ვერ გააგანიერებს, რადგან მეზობლების სახლები ამას ხელს უშლისო, ასე რომ ჩემი შეზღუდვა ქალაქს არას შეჰმატებს, მე-კი დიდად ხელს მიშლისო.

ერთხანს კამათი გამოიწვია ამ სათხოვარმა, მაგრამ საბოლოოდ საბჭომ მიიღო გამგეობის მოხსენება, რომლითაც ბაჭი-მამედის ნასყიდობის საბუთიდან ამოიშლება მთხოვნელისათვის ხელის შემშლელი მუხლი.

საყურადღებო საგანი ოთხშაბათის სხდომისა ხორცით სავაჭრო დუქნების გამგე კომისიის მოხსენება იყო, რომლითაც კომისია სთხოვდა საბჭოს, რომ მომავალში სხვა წესით და რიგით უნდა იქმნეს დუქნების გამგე კომისია მოწყობილი. შარშან საბჭომ დუქნების გამგე კომისიად აირჩია ცხრა კაცი. როცა კომისია დუქნების საქმეს დაუახლოვდა, ვითარება ამისა კარგად გამოიკვლია და შეისწავლა, ახლა მთელი პროექტი შეუმუშავებია როგორ და რა წეს-რიგით უნდა იქმნეს ქალაქის დუქნები წარმოებული, რომ ხორცით ვაჭრობა ქალაქმა მტკიცე ნიადაგზე დააყენოს და ამით მცხოვრებლებს მართლა სარგებლობა მოუტანოს.

კომისიას დაუდგენია: 1) დუქნების გამგე კომისიაში მხოლოდ სამი კაცი იქმნეს არჩეული და ორიც ამათ კანდიდატად, რომელნიც კომისიის ყოველ სხდომას უნდა დაესწრნენ. 2) თავმჯდომარეს ამ კომისიისას არჩევს თვით საბჭო ამ სამ წევრთაგან ერთ-ერთს. 3) თავმჯდომარის მოვალეობა იქმნება: ა) საზოგადო თვალ-ყური ადევნოს დუქნების მმართველის მოქმედებას; ბ) დაამზადოს კომისიისათვის იმ საგნების განხილვა და იმათ შესახებ მოხსენებანიც, რომელნიც საქმის საჭიროებით გამოწვეულ იქმნება; გ) კომისიის მოწვევა; დ) შეასრულოს კომისიის დადგენილებანი თვითონ, ან დუქნების მმართველისა თუ სხვა მოსამსახურეთა შემწეობა-დახმარებით; ე) შეეცადოს კომისიის დადგენილებანი გამგეობამაც მიიღოს ერთიანად; ვ) საკეთილოდ წარმართოს ყველა იმ საქმეთა, რომელნიც საბჭოს მინდობილების ასრულებას ხელს შეუწყობს და ზ) დაუახლოვდეს და თვალ-ყური დაიჭიროს დუქნების კანტორაზე. 4) კომისიის წევრთა მოვალეობა იქმნება: ა) დუქნების მოქმედებაზე თვალ-ყური დაიჭირონ, აგრეთვე ბაზრებსა და საბაზრო ადგილებს მოუარონ და ეს მოვალეობა წევრებმა ერთმანეთის შეთანხმებით გაინაწილონ და ბ) თავმჯდომარის თანამდებობა აასრულონ, როცა იმას არ შეეძლება ამის ასრულება. 5) წევრთა კანდიდატების მოვალეობაა—წევრთა თანამდებობა აასრულონ, როცა პირველთ მოცლა არ ექნებათ. 6) თუ კომისია საჭიროდ დაინახავს, სხვებიც შეუძლია მოიწვიოს თავის სხდომაზე, რომ იმათი რჩევაც მოისმინოს დუქნების წარმოების გაუმჯობესების საქმეში.

გამგეობას ეს პროექტი კომისიისა მოუწონებია და ამასვე სთხოვდა საბჭოსაც.

ბაბოევი ა. ს. აცხადებს, რომ კომისიამ თვითონ დუქნების გამგე კომისიის გადასხვაფერების პროექტი წარმოადგინა აქ და ვერ ვხედავ, სად არის თვით დუქნებში ვაჭრობის გაწესრიგების პროექტიო. მე არა მგონია, ხმოსნებში ისეთნი აღმოჩნდნენ, რომელთაც თავიანთი შრომა ამ საქმეს მიანდონ, თორემ, რა თქმა უნდა, წარმოდგენილის წეს-რიგით დუქნების მართვა-გამგეობა გაცილებით უკეთესი იქმნება ეხლანდელზე და ქალაქის დუქნებში ვაჭრობასაც შესამჩნევად გააწესრიგებს და გააფართოვებსო.

ტიგრანოვი ლ. ფ. კარგი იქმნებოდა ისიც გამოცხადებულიყო ამ მოხსენებაში: ეხლანდელ კომისიის წევრთაგანი ვინ მოისურვებდა ახალს კომისიაში შესვლას.

თავ. ჩერქეზიშვილი. (გამგ. წევრი). მეც იმას ვამტკიცებდი, ძნელია ისეთი თავისუფალი ხმოსანი ვიშოვოთ, რომ ამ საქმეს ამდენი დრო მოანდომოს. ვაჭრობის კითხვათა შემუშავება ერთია და თვითონ საქმის წინამძღოლობა—სულ სხვაა და სწორედ ეს მხარე საქმისა შეუძლებლად მიმაჩნია. მე იმ აზრისა ვიყავი, ცალკე მმართველობა დაგვეწესებინა ამ საქმისათვის, თუნდაც თვითონ ხმოსნთაგან.

ხმ. ხატისოვმა (ეხლანდელ კომისიის წევრი) განმარტა, რა გარემოებამ გამოიწვია სამ წევრთაგან შემდგარ კომისიის დაყენება ამ საქმესთან და ითხოვა კომისიის აზრის მოწონება.

ბაბოევი ა. ს. კარგი იქმნებოდა თვითონ დუქნების წარმოებისა და მოქმედების შესახები ცნობილებანი წარმოედგინა კომისიას, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვერწმუნოთ კომისიის მოხსენების კეთილ-განზრახვათ და მივიღოთ ეს მოხსენება.

თავ. ჩერქეზიშვილი. როგორ შეიძლება ვაჭრობის შესახები წვრილმანები აქ მოხსენდეს საბჭოს და ამაზე კამათი ჩამოვაგდოთ. ამ ნაირად შორს წავიდოდა საქმე და შეუძლებლადაც მიმაჩნია ამაზე აქ კამათი. ეს სწორედ გამგე კომისიის საქმეა.

დიდ ხანს გასტანა კიდევ კამათმა, მაგრამ საბჭომ დიდის ხმის უმეტესობით მიიღო კომისიის მოხსენება. უნდოდა კომისიის სამის წევრისა და ორის კანდიდატის არჩევაც, მაგრამ შუა ღამემ მოაწია და ხმოსნები დაიშალნენ—ეს საქმე საორშაბათოდ გადასდეს.

დაბა-სოფლები

ბაბუშარა (აფხაზეთი). ჩვენი სოფელი მდებარეობს ზღვის პირად, სოხუმიდან 10 ვერსის მანძილზე. ადგილი ეკუთვნის თავ. გ. დ. შერვაშიძეს. ამ მამულში მოიჯარადრე გლეხები სახ-

---

იყო მონა თავის ცხოვრების საშუალებისა და ბატონობის დაცვის საშუალებისა: მუდამ ჯაჭვ-ჯავშანში უნდა მჯდარიყო და შინებოდა მოკვლის ან მოწამვლისა.

საშუალო საუკუნოების ბოლო ხანას, როცა უმცროსის მორჩილება უფროსისადმი სრული შეიქნა და ყველა გრაფები და ბარონები მეფის მორჩილები გახდნენ, მეფეს აწევს სიმძიმე არა მარტო სახელმწიფო საქმეებისა, არამედ ყოვლად აუტანელ და თავის მომბეზრებელ ცერემონიალისაც. ქ-ნი დე მენტენონი ამბობს: „გარდა იმ პირებისა, ვისაც მაღალი ადგილი უკავიათ, არ ვიცნობ იმათზე უბედურ ხალხს, ვისაც ეს მაღალი ადგილი შურს. რომ შეგეძლოთ წარმოიდგინოთ, თუ რა არის იგი!"

II

იმ დროებში, როცა მონობა და ყმობა არეული იყო ერთმანეთში, მიწაზედ მიკრული ყმა ბევრ ვალდებულებას უსრულებდა თავის ბატონს. ბეგარა, რომელიც ყმას ემართა, სხვა და სხვა იყო ადგილისა და დროის მიხედვით—ერთი დღიდან დაწყებული ექვს დღემდე კვირაში. თან და თან ეს ბეგარა ფულის გადასახადად შეიცვალა და ამ გვარად განსაზღვრული გადასახადი შეიქმნა ექვივალენტი განსაზღვრულ შრომისა. ჩვენ დროშიაც იგივე გარემოებაა, თუ ფეოდალის, მებატონის მაგიერ ცენტრალურ მთავრობას დავსვამთ და ბეგრის ფულის მაგიერ არსებულ სხვა-და-სხვა გადასახადებს. თანამედროვე მოქალაქისათვის დიდ მნიშვნელოვანი და მეტად საინტერესო კითხვაა, თუ მის შრომის რომელი ნაწილი მიაქვს მთავრობას და რომელი რჩება მას თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. შრომა, რომელსაც თხოულობს სახელმწიფო, ისეთივე ბეგარაა სახელმწიფოს წინაშე, როგორც იყო ის შრომა, რომელსაც მებატონე თხოულობდა.

ხუთის წლის წინად გიუიომ გამოიანგარიშა, რომ საფრანგეთში სამოქალაქო და სამხედრო ხარჯებს უნდება $30^0/_0$ ეროვნულ წარმოებისა, ე. ი. თითეულ მოქალაქის საშუალო შრომიდან სახელმწიფოს უნდება 90 დღის მუშაობა. რაც საფრანგეთში ხდება, იგივე ხდება ინგლისშიაც, თუმცა უფრო ნაკლებად.

იმ სახელმწიფო გადასახადების გარდა, რომელიც გვიანდერძა წინა დროების იმპერიალისმმა—150 მილიონი ვალი ჩრდილოეთ ამერიკის ომისათვის და 50 მილიონი ინდოეთისათვის—აღვნიშნოთ მხოლოდ ის ტვირთი, რომელსაც გვადებს ეხლანდელი იმპერიალისმი. სტატისტიკურ ცნობებიდან ვიცით, რომ ასი მილიონის ყოველ-წლიური ხარჯი თხოულობს ყოველ მოქალაქიდან საშუალოდ 18 დღის მუშაობას წელიწადში. მუდმივი ჩვეულებრივი წლიური ხარჯი ჯარისა და ფლოტზე და სარგებელი უკანასკნელად მოხდენილ სესხისა შეადგენს 76 მილიონს, მაშასადამე, მხოლოდ სამხედრო ხარჯისთვის მოქალაქე იძულებულია იმუშაოს $13^1/_2$ დღე წელიწადში. ამას უნდა მიემატოს 153 მილიონი, რომელიც დაიხარჯა სამხრეთ აფრიკისა და ჩინეთის ომიანობაზე; გარდა ამისა სახეში უნდა ვიქონიოთ პენსიები, ზარალის ანაზღაურება და სხვა, რაც საერთო ჯამში მოგვცემს 200 მილიონზე მეტს.

ამდენად მეტ მსხვერპლს თხოულობს მოქალაქისაგან იმპერიალისმი!

იმდენად, რამდენად მოქალაქე იძულებულია ხარჯოს თავისი შრომა და ნიჭი სხვა-და-სხვა სახელმწიფო მიზნისათვის, იგი სახელმწიფოს ყმა არის. იმპერიალისმი კიდევ უფრო ადიდებს და მეტადაც ადიდებს მოქალაქის ვალდებულებას და ამით უფრო და უფრო უმონავებს მას სახელმწიფოს.

გარდა ნაჩვენებ ვალდებულებისა, იმპერიალისმის მიზეზით მოქალაქე იძულებული ხდება ჯარში იმსახუროს; ჯარში სამსახური კი ნეგრის მონობაზე ნაკლები არ არის და ამასთან სიცოცხლისათვის მეტად საშიში.

სანამ ბატონის სურვილი სხვა სურვილებზე მაღლა იქნება დაყენებული, იმპერიალისმთან დაკავშირებული მონობაც იქნება მიღებული, როგორც კანონიერი მოვლენა.

ხალხს თავი მოსწონს არა ადამიანურის ღირსების გამო, არამედ იმიტომ, რომ პირუტყვის ღირსება აქვს—„ბულდოგივით მამაცია" და დიდ სახელად მიაჩნია, თუ ჯარისკაცებს ათასი გაჭირვება და განსაცდელი მიაყენა. სანამ ეს ხალხი მოწადინებული იქნება სხვა ხალხები დაიპყროს და მორჩილებაში იყოლიოს, იგი იძულებული იქნება პირადი თავისუფლება სახელმწიფოს შესწიროს და მიიღოს მონობა, რომელიც აუცილებლად თან სდევს ყოველ დაპყრობას.

დობენ, სამეგრელოდან გადმოსულნი, რიცხვით 200 მეტი. ადგილი ბუნებით შემკულია, კაცს შრომა უქმად არ დაეკარგება, მაგრამ ბაბუშარაში მხოლოდ სავანეებად გაკაფულ მინდვრებს შეხვდებით და მეტს არაფერს. მცხოვრებთ ჯარგვალები (ხის დაბალი სახლი) უდგიათ, ეზოები შემოღობილი არა აქვთ. ნიადაგი, როგორც ვსთქვი, მშვენიერია, მაგრამ მცხოვრებნი მარტო სიმინდის თესვას მისდევენ; ამის მიზეზი ის არის, რომ გლეხს არ შეუძლიან ადგილი საკუთრებად შეიძინოს (ბაბუშარაში); გარდა ამისა იმათი ბედ-იღბალი მოურავზეა დამოკიდებული. მოურავს შეუძლიან, გარდა $1/3$ შემოსავლისა, მეორე მიზეზისთვის დააჯარიმოს გლეხი 10 მანეთიდან, „ურჩი" გადაასახლოს და სხ. ამ გვარი პირობებში, რასაკვირველია, გლეხი გულმოდგინედ ვერ მოეკიდება მიწას.

ბაბუშარის „გზებზე" მხოლოდ ზაფხულობით შეიძლება უხიფათოდ სიარული. სკოლა არა გვაქვს. ბაბუშარელ გლეხს ამ ოცის წლის განმავლობაში შვილი არ გამოუზრდია არამც თუ უმაღლეს, შუათანა სასწავლებლამდე.

ტ. გვასალია.

—

სოფ. ნოღა (სამეგრელო). ნოღა ახალ-სენაკიდან 35 ვერსის მანძილზეა. ორი სოფელი—ლეგერცამე და ნოღა წელიწადში ერთხელ დღესასწაულობენ სულის-წმინდის მოფენის დღეს. ამ დღეს ყველა წოდების კაცი, მდიდარი და ღარიბი ვალდებულადა სთვლის თავს, პირ ნათლად დაუხვდეს სტუმრებს, მიუხედავად ათასნაირ გაჭირვებისა. ზოგი ნასესხით და ზოგიც თავის ქონებით ჰმართავს მამა-პაპურ მეჯლიშს. სტუმარი ბლომად იყრის თავს. მოდიან არა თუ დაპატიჟებულნი, დაუპატიჟებელნიც-კი. ისედაც ყველაფერში დაბეჩავებული მცხოვრებნი უფრო უარესს დღეში ვარდებიან მაგრამ ხომ გაგიგონიათ—ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო. მართლაც ჩვეულებას ემორჩილება მდიდარიც და ღარიბიც.

ერთი სარაკო ამბავი მოხდა დღესასწაულის შემდეგ ამ სოფელში: სწორეთ დღეობა დღეს ერთს აქაურ მცხოვრებს ბ—მიას მოწვეული ჰყავდა სამოცამდე სტუმარი. მათ შორის ორი საერობო დარაჯიც. გულ-უხვმა მასპინძელმა ორი ხარი დაჰკლა და ასე გაუმასპინძლდა. გამართა სმა-ჭამა და ერთიც არავინ ჩამორჩათ უდღეგრძელებლად. სხვათა შორის, მკვდრებიც მოიხსენიეს და ცხონება უსურვეს. რომ იტყვიან „ღმერთო, სხვისი პურითა და ღვინით აცხონე ჩემი მიცვალებულიო", სწორედ ასრულდა ამ დღეს. ყველა კარგად ჰგრძნობდა თავს. სადილს შემდეგ სასეირნოდაც გავიდნენ. მაგრამ დახეთ უბედურებას! არ გასულა ერთი კვირა, რომ მასპინძელს წაამწარეს ლხინი და ქეიფი. თურმე უცხო ხარი, რომელიც დღესასწაულზე დაჰკლა მასპინძელმა, ერთის საწყალ გლეხის საკუთრება ყოფილიყო. ამ გლეხმა, ის ორი საერობო დარაჯი, რომელნიც სტუმრად იყვნენ წინად, ბევრის ძებნის შემდეგ, თავს დაასხა ხარების ქურდს, ხარის ტყავები მეზობლის სახლში იპოვეს, აჰკიდეს ტყავები ხარის ქურდს ბ—მიას და, მამასახლისის განკარგულებით, ნაძალადევის ნაწილის ბოქაულს წარუდგინეს ცოდვის მოსანანიებლად. ასეთი შედეგი მოჰყვა დიდ მასპინძლობას.

აქეთ მოსავალს კარგი პირი უჩანს ჯერ-ჯერობით. „იზაბელას" კარგა ასხია. ცოტა გვალვამ დაგვაფიქრიანა, მაგრამ 6-7 ივნისის წვიმამ გვანუგეშა. აბრეშუმის მოვლას ძალიან მისდევენ აქეთ და მოსავალიც კარგი იყო, მაგრამ ჩარჩებმა იჩინეს თავი და ატყუებენ გულ-უბრყვილო ხალხს.

ესტატე გვამილავა.

—

სამტრედია (იმერეთი). 15 ივნისს, კვირას, ბოქაული შეუდგა სისრულეში მოყვანას 8 ივნისის გადაწყვეტილებისას კვირა-უქმეობით დუქნების დაკეტვის შესახებ. დუქნები უნდა დაიკეტოს დილის 9 საათიდან შუადღის 12 საათამდის და ნაშუადღევის 3 საათიდან ორშაბათ დილამდის. ვისაც დუქანში საწოლი აქვს, იმას საღამოს შემდეგ უნდა შეეძლოს დუქანში შესვლა დასაწოლად და არა სავაჭროთ. მაგრამ ამ სასიამოვნო საქმეს საღამოს 8 საათამდის ძლივს მიაწია მიზანს ზოგიერთი ვაჭრატანების წყალობით, რომელნიც გაიძახიან: თუ კვირა-უქმე დღეებში არ ვივაჭრეთ, ცოლ-შვილი მშიერი დაგვეხოცებაო. ეს გარემოება არც დაბის ახალ „მამასახლისებს" მოეწონათ (თუმცა განაჩენებზე ხელი უწერიათ) და იმის მაგიერ, რომ სხვებისათვის განაჩენის შესრულების მაგალითი ეჩვენებინათ, იმათ დარღვევის მაგალითი უჩვენეს. „მამებიც" ასეთი უნდა! ამას წინადაც ვწერდით აქაურ ქარგლებისა, ნოქრებისა და შეგირდების აუტანელ მდგომარეობაზე. თუ რამდენად დატანჯულნი ყოფილან, ეს ნათლადა დაგვანახვა 15 ივნისს დუქნების დაკეტვამ. ამ დღეს, დუქნების დაკეტვის შემდეგ, ქუჩაში გამოსულ ქარგლებისა, ნოქრებისა და შეგირდების სახეზე განუსაზღვრელი სიხარული იხატებოდა.

სანდრო

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 ივნისი.

არხანგელსკი. გუბერნატორის განკარგულებით აქ უსასყიდლოდ არიგებენ გენერალ ბოგდანოვიჩის გამოცემებს—წიგნაკებსა და სურათებს.

პორტ-არტური. სამხედრო მინისტრი „ასკოლდ"-ზე მივიდა; დახვდნენ ადმირალი ალექსეევი, სხვა უმაღლესი მოხელენი, ქალაქის წარმომადგენელნი და დეპუტატიები ჩინელთა და იაპონელთა ახალშენლებისა. ქალაქი მორთულია. ჩინელნი „რუსებისათვის სიხარულით ეგებებიან მინისტრს. მინისტრი ეკლესიაში იყო. დაათვალიერა მინისტრმა აგრეთვე ციხე.

ვლუხოვი. დღეს აკურთხეს ერობის მიერ აგებული შენობა წიგნთ-საცავისა და ადგილობრივ სიძველეთა საცავისა.

ვენა. პოლიტიკურ წრეებში ის აზრია გავრცელებული, რომ იმპერატორი დასთანხმდება სამინისტროს გადადგომას და ახალ კაბინეტის შედგენას კერბერს მიანდობსო.—„ნევე ფრ. პრ." იუწყება, რომ მინისტრთა საბჭომ დაადგინა, მთელმა კაბინეტმა მოითხოვოს სამსახურიდან გადადგომაო. მიზეზი კრიზისისა ის არის, რომ უნგრეთის მინისტრ-პრეზიდენტი ძალას ატანს ავსტრიის რეიხსრატს და სცდილობს, რეიხსრატმა რაც შეიძლება მალე გადასწყვიტოს საკითხი იმ კანონ-პროექტის გამო, რომელიც ავსტრო-უნგრეთის შეთანხმებას შეეხება. ამ საკითხის გადაწყვეტას-კი ხელს უშლის ჩეხთა ობსტრუქცია. იმპერატორის ბრძანებით დაწესდა ექვსის თვით დროებით ბიუჯეტი.

ლონდონი. სამხედრო სამინისტრომ გამოაქვეყნა დეპეშა აბესინიის ჯართან მყოფ პოლკოვნიკის როშფორისა. დეპეშა 24 მაისს არის გამოგზავნილი. ნათქვამია შიგ, რომ აბესინელები 18 მაისს მოულოდნელად თავს დაეცნენ მოლლას ცხენოსან მეშუბეებსაო. მოლლას ბიძა და 1000 მეშუბე აბესინელებმა მოჰკლეს. ხელთ ჩაიგდეს საქონელი, სხვათა შორის, 1000 აქლემი.

სტოკჰოლმი. მეფე ოსკარმა მიიღო ცნობა სერბიის მეფის ტახტზე ასვლის შესახებ. პასუხში მეფემ უსურვა, რომ ახალ მეფის დროს სერბიას მშვიდობიან და ბედნიერ განვითარების ხანა განეცადოს.

კილი. 17 ივნისს ამერიკის ესკადრა ნიუ-იორკში წავიდა. როგორც ისმის, ევროპაში მყოფი შტატების ესკადრა 1904 წლისათვის კრონშტადტში მიუწვევიათ.

ვაშინგტონი. საფიქრებელია, რომ საკითხს მანჯურიის შესახებ შტატების მხრივ არავითარი გამწვავება არ მოჰყვება.

ტიანძინი. გაზეთები დიდის ამბით აღნიშნავენ იმ გარემოებას, რომ ინგლისისა, ამერიკისა და იაპონიის ესკადრებს თავს უყრიან ჩიხილიის ყურეს ჩრდილოეთით. რუსეთის 57 გემი პორტ-არტურშია.

პეტერბურგი. საბერძნეთიდან სტრელნაში მოვიდა ელინთა დედოფალი ოლღა კონსტანტინეს ასული. სადგურზე დახვდნენ: დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული, დიდნი მთავარნი, დიდ მთავართა მეუღლენი და ასულნი.—ამ უკანასკნელ სამ დღეს დიდ მთავრინას ალექსანდრა იოსების ასულის ავადმყოფობას ცოტა რამ ცვლილება დაეტყო: ავადმყოფი გონზე მოვიდა, ცოტა მადაც დაუბრუნდა. მაგრამ თირკმლების მოქმედება უსუსტდება და ავადმყოფი ძილში გარდება. ავადმყოფი ჯერ კიდევ საშიშ მდგომარეობაშია.

19 ივნისი.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით ერთის თვით შეჩერებულია გაზ. „ზნამია"-ს გამოცემა.

კონსტანტინეპოლი. ამბობენ, პორტა ჰფიქრობს საელჩოებს გაუგზავნოს ნოტა ოსმალთა და ბოლგარელთა რაზმების ბელიტეპესთან შეტაკების გამო.

მადრიდი. სან-სებასტიანთან მომხდარ უბედურების ადგილას იპოვნეს 42 მკვდარი და 69 დაჭრილი. მთავრობა აპირობს მკაცრი გამოძიება მოახდინოს და დამნაშავეები სამართალში მისცეს.

პეკინი. ვიცე-კოროლმა ჩჟან-ჩჟიდუნმა ინახულა ყველა ელჩები და ეცადა დაეთანხმებინა ისინი, რომ სამხედრო საზღაური ვერცხლით მიეღოთ. საფრანგეთისა და რუსეთის ელჩებმა განაცხადეს, რომ სახელმწიფონი დაბეჯითებით თხოულობენ ოქროთი იქმნეს ეს საზღაური გადახდილი და თუ ჩინეთი არ დაემორჩილება ამ მოთხოვნას, სახელმწიფოებს განზრახვა აქვთ შეუკრან მარილის ბაჟი და თითონ აწარმოონ, ან არა და ისევ დაიჭირონ ჩინეთის ნაწილი ტიანძინი.

ბელგრადი. უკანასკნელ საერო კრების დროს დეპუტატ ლუკიჩისაგან შეტანილი წინადადება, ვინც კი ცოცხალია მარკოვიჩის კაბინეტის წევრნი, სამართალს მიეცნენო, თანახმად საერო კრების დადგენილებისა, უყურადღებოდ იქმნა დატოვებული.

სოფია. ის ხმა, ვითომ ერთ დივიზია ჯარს სასაზღვროდ ამზადებდნენ, საფუძველს მოკლებულია. რადგან ოსმალეთიდან ეხლა უფრო მეტი ხალხი მოდის, მთავრობას განზრახვა აქვს სათადარიგო ჯარი მოიწვიოს საზღვარზე სადარაჯო რაზმების გასაძლიერებლად.

სტამბოლი. ბოლგარიამ კიდევ სთხოვა პორტას, მეგობრულად აგვიხსენით, ამ ბოლოს დროს რა ამბავი მოხდა საზღვარზეო. განმარტების მიცემა პორტამ დააყოვნა, რადგან სამხედრო მინისტრი სწორე მოხსენებას ელის ოსმალეთისა და ბოლგარიის ჯარებ შუა მომხდარ შეტაკების შესახებ. საზღვარზე მყოფ რაზმებს კალ-თეფეში ერთი ბატალიონი მოუმატეს. შეტაკება ბოლგარების ბრალია: ბოლგარები ოსმალეთის საზღვარს გადმოვიდნენ და ერთი ძაჭმაღიანი მოჰკლეს.

პარიზი. კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ ლუბეს წასასვლელად ინგლისში და იტალიის მეფის პარიზში დასახვედრად 600 ათასი ფრანკი გადაიდოს, სენატმა ერთხმად მიიღო.

პარიზი. პალატამ განიხილა დებიუსის წინადადება იმის შესახებ, რომ უცხოეთის საქონელს და ხორცს ბაჟი მოუმატოს და 408 ხმის უმეტესობით 156 წინააღმდეგ მიიღო ეს წინადადება.

სოფია. ნოტა, რომელიც ბოლგარიის მთავრობამ გაუგზავნა დიპლომატიურ წარმომადგენლებს დიდ სახელმწიფოების კაბინეტების საცნობლად, შეიცავს ისტორიას მთავრობისაგან მაკედონიის დასამშვიდებლად მიღებულ ზომებისას; აქვე აღნიშნულია რამდენიმე შემთხვევა მაკედონიის მცხოვრებლების დევნისა, რაც საშინლად აბრაზებს ბოლგარელებს. თუ ოსმალეთთან შეტაკება არ მოხდა, ეს ბოლგარელების კანიერებით და მთავრობის მშვიდობიანობის მოყვარეობით აიხსნება. ამ ცოტა ხანში ოსმალებმა ჯარები საზღვრისაკენ წამოიყვანეს და მარტო საბუთს ეძებენ, რომ მტრული მოქმედება დაიწყონ. ნოტა სთხოვს დიდ სახელმწიფოებს, ძალა დაატანონ პორტას, რომ მტრული მოქმედება მოსპოს საზღვარზე და რეფორმები შემოიღოს; წინააღმდეგ შემთხვევაში ბოლგარიაც იმავე ზომებს მიიღებს. სამეფო წყაროებიდან გვატყობინებენ, რომ პორტამ ადარა, არავითარი სურვილი არა აქვს ომი დაიწყოს. ჯარები მხოლოდ იმიტომ დააყენა, რომ საზღვარი დაიცვას ამ პასუხმა სრულიად უნდა დააკმაყოფილოს ბოლგარია.

პორტ-არტური. როცა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ პურ-მარილი მიართვა, სამხედრო მინისტრმა უთხრა: „დარწმუნებული ვარ, რომ ადმირალ ალექსეევის მმართველობის წყალობით ქალაქი გაძლიერდება ხელმწიფის გასახარად და რუსეთის სადიდებლად". ჩინელების დეპუტაციას მინისტრმა უთხრა: „რუს-ხელმწიფის სკიპტრის ქვეშ თქვენ კარგად და არხეინად იცხოვრებთ".

ვენა. პოლიტიკურ წრეებში ჰფიქრობენ, რომ სამინისტროსაგან შეტანილ თხოვნას სამსახურიდან დათხოვნის შესახებ იმპერატორი არ მიიღებსო. ჰფიქრობენ აგრეთვე, რომ შინაგან პოლიტიკაში ამას იქით ერთხელ არჩეულ მიმართულებას უნდა დაადგნენო.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

—

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარეშ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის (9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/76 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ.); 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 03 წ. (2 [illegible] წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ზორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

განცხადებანი

—

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

აცხადებს, რომ 24 ივნისს, 1903 წელს, შუადღის 12 საათზე **მოხდება საჯარო ვაჭრობა.** უნდა გაიცეს იჯარით დამტვრეულ ქვის შეგროვება გზა ტკეცილზე მოსაფენად.

მსურველს პირობები შეუძლიან გასინჯოს გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9-დან ნაშუადღევის 2 საათამდე. (6. 3—2)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, ქალთა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—92

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»
კიოსკში,
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხანელისა		10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პროტოსი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაუქენება პროლოგს. გ. პეტრიაშვილის	1	50
რძ. მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილით, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: **Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.**

ესევე წიგნები იყიდება **ქუთაისში,** ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

Дозв. ценз. Тифлисъ, 19 Іюня, 1903 г. ელექტრონ. სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)